ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

23 სექტემბერი, 2013 წელი

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების 36, ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის " ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

მარიამ კუბლაშვილი- სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე

ანა ხარაიშვილი- წევრი

მაკა ჯაფარიძე- წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ წევრები **ლევან ჩხეიძე და აკაკი ჩარგეიშვილი**

ქეთევან ჯაფარიძე-სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომის დაწყების დრო: 18:00

დღის წესრიგი:

1. MN-აუდიტი"-ს წარმომადგენელ – იური პაპასქუას მიერ დამატებითი განმარტებების მოსმენა სარევიზიო კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ შეკითხვებზე.

სხდომა გახსნა თავმჯდომარემ მარიამ კუბლაშვილმა. მან განაცხადა, რომ მ/წ 2-4 აგვისტოს სარევიზიო კომისია იმყოფებოდა გასვლით სხდომაზე ქობულეთში, სადაც განიხილა MN-აუდიტი"-ს მიერ მომზადებული დასკვნა ადვოკატთა

ასოციაციის 2009-2012 წლების საანგარიშო პერიოდის ფინანსური აუდიტის შესახებ. განხილვის პროცესში გამოიკვეთა რამოდენიმე საკითხი, რომლებზეც კომისიამ მოითხოვა აუდიტორული ფირმის წარმომადგენლისაგან დამატებითი განმარტებების გაკეთება. აღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ბ-ნ იური პაპასქუას, რომელიც ესწრებოდა მ/წ 23 სექტემბრის სხდომას.

მან განაცხადა, რომ იგი გაეცნო მიწოდებულ ინფორმაციას და დღევანდელი სხდომისთვის მზად ჰქონდა ყველა კითხვაზე პასუხი. დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით, მან დეტალურად ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხსენებული საკითხებიდან, ერთ-ერთი ეხებოდა შენიშვნებს შემოსავლების და ხარჯების ნაწილში ციფრებთან დაკავშირებული შეცდომების შესახებ, რაც მთლიანად გაიზიარა აუდიტორმა და შეიტანა შესაბამისი კორექტივა ამ ნაწილში.

რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, მან განმარტა, რომ წარმოდგენილი მოდიფიცირებული დასკვნა ეფუძნება ასოციაციის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მასალას. აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში აუდიტის წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ აღნიშნული მასალით, რომელიც იქნა შესწავლილი და ასახულია დასკვნაში. დასკვნის ობიექტურობის არგუმენტირებულად დასაბუთების საფუძველიც ასოციაციიდან მიღებული მასალაა. მან დამატებით აღნიშნა, რომ ანგარიშის შინაარსის სრულყოფილად და სწორად გაგების მიზნით, თანდართულია დანართები (დამატებითი ტექსტობრივი მასალის, თუ ცხრილების, დოკუმენტების ასლების ფორმით), რომლებიც ანგარიშის ტექსტობრივ მასალასთან ერთად იკითხებიან. ამდენად, ანგარიშის შინაარსობრივი მხარის შეცვლა შეუძლებელია და აღნიშნული საკითხების შინაარსი სხვა ფორმულირებით ვერ იქნება ჩამოყალიბებული. მან იქვე განმარტა, რომ სხვა პროფესიის წარმოადგენლებისთვის ცოტა რთულია აუდიტორული დასკვნის სრულყოფილად და სწორად გაგება შინაარსობრივი თვალსაზრისით; თუმცა იგი თვლის, რომ მან სრულად გააკეთა განმარტებები, გაიზიარა ყველა ის შენიშვნა, რაც მექანიკურად იყო დაშვებული და უზრუნველყო სათანადო კორექტირება. ასევე დასძინა, რომ წარმოდგენილ დასკვნაში არცერთი ფრაზის ფორმულირება არ შეიცვლება, ვინაიდან, ყველა ფორმულირების სრულყოფილად გაგების მიზნით, ანგარიში მოიცავს ზემოთხსენებულ დანართებს, რომლებიც აუცილებლად ტექსტის შინაარსთან ერთად უნდა იქნას შესწავლილი და განხილული; ხოლო რაც შეეხება, აუდიტის დასკვნის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ასოციაციაში მიმდინარე საფინანსო/სამეურნეო საქმიანობების განხორციელების პროცესში, ყოველივე რეკომენდაციების სახით ასახულია მოდიფიცირებულ დასკვნაში. საუბრის ბოლოს, ბატონმა იურიმ აღნიშნა, რომ იგი მიესალმება ასოციაციის აქტიურობას და ინტერესს წარმოდგენილი დასკვნის დეტალურად განხილვის თვალსაზრისით და გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში ასოციაციასთან თანამშრომლობის მიზნით.

წევრებმა მოისმინეს ბ-ნ იური პაპასქუას განმარტება და დაადგინეს, რომ ისინი გაეცნობიან ასოციაციის ფინანსური აუდიტის კორექტირებულ დასკვნას და შემდგომ სხდომაზე მიიღებენ გადაწყვეტილებას, აღნიშნული დასკვნის აღმასრულებელი საბჭოსთვის გადაცემის შესახებ. სარევიზიო კომისიის მომდევნო სხდომის თარიღად განისაზღვრა მ/წ 4 ოქტომბერი.

თავმჯდომარე -მარიამ კუბლაშვილი

სხდომის მდივანი- მაკა ჯაფარიძე

წევრი- ანა ხარაიშვილი